JEL Classification: I 20; J10. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017

LABOUR MARKET AND PECULIARITIES OF INFORMAL EMPLOYMENT IN THE CONTEXT OF THE GLOBAL PANDEMIC

MURMAN TSARTSIDZE

Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Academician of the Georgian Academy of Economic Sciences, Georgia
murman.tsartsidze@tsu.ge

NATELA LATSABIDZE

Academic Doctor, invite professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
natela.latsabidze@tsu.ge

Abstract. In terms of overcoming the socio-economic problems in Georgia, great importance is attached to efficient functioning of the labour market. It must ensure a radical change the sphere of social-labour relations, accordingly, efficient overcoming the chronic unemployment in the country and efficient employment of labour force. The results of the research confirms, that adequate labour market of normal market environment is still on the formation stage with serious problems and challenges which is developed in Georgia. In 1990s at the initial stage of formation the national labour market difficult economic situation which was in the country, give a push negative developments in the field of labour relations, among which before nowadays invincible challenge is the growing trend of informal employment. It can be said, that this one took on a large-scale character in the current period of financial and economic crisis caused by the global pandemic. In fact, the informal sector in Georgia has become an independent segment of the labour market, which has a significant impact on employment of the population, standard of living and on the overall process of economic development. Informal employment, as an important study socio-economic event and phenomenon, assess its level and scale, it can be said convincingly that it will not lose its relevance for many years. Negative consequences of informal employment, needs analysis and evaluation factors affecting the influx of economically active population into the informal sector of the labour market. Also its important discuss and evaluate the positive aspects of informal employment in the short term, which manifested in facilitation reasons socio-economic and psychological consequences of unemployment.

In the work researched certain aspects of informal employment, analyzed its forms, faces, identified peculiarities of informal employment and rated its scale against the background of the global pandemic. Substantiated, that informal segment of the labour market requires depth research and evaluation. By the research identified the main factors for the growth and development of employment in the informal sector of economy in the Georgian labour market, from which we must distinguish: high levels and scale of poverty in the country, chronic unemployment and inefficient employment; insecurity social principle of justice in the field of employment; equal employment opportunities for job seekers; lack of proper conditions for equal realization of labour rights; population low availability on different types of labour market services and events, inadequate rates of economic development; reduced demand for labour, accordingly limited employment opportunities and prospects; low level and quality of development of vocational education system, which not fully focused on labour market demands, social protection of the unemployed, none of insurance mechanism; difficulties in training and retraining the unemployed; low level of remuneration; low level of stimulation, motivation and labour organization, underdevelopment of labour market infrastructure and its management information system, problems in the field of management and regulation of social-labour relations, which connected to the development of the legislative-normative base, lack of a complete mechanism for controlling the working conditions of employees and etc. The main results of the research are summarized in the concluding part of the work.

KEYWORDS: LABOUR MARKET, INFORMAL SEGMENT OF LABOUR MARKET, UNEMPLOYMENT, INFORMAL EMPLOYMENT, PANDEMIC.

For citation: Tsartsidze, M., Latsabidze, N., (2021). Labour Market and Peculiarities of Informal Employment in the Context of the Global Pandemic. *Globalization and Business.* 12, 123-132. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017

JEL Classification: I 20; J10. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017

შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში

მურმან ცარციძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
murman.tsartsidze@tsu.ge

ნათელა ლაცაბიძე
აკადემიური დოქტორი, მოწვეული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
natela.latsabidze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, შრომის ბაზრის არაფორმალური სეგმენტი, უმუშევრობა, არაფორმალური დასაქმება, პანდემია.

ციტირებისთვის: ცარციძე, მ., ლაცაბიძე, ნ., (2021). შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 123-132. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017

შესავალი

არაფორმალური შრომის ბაზარი და შესაბამისად, არაფორმალური დასაქმება ნიშანდობლივია როგორც განვითარებადი, ასევე ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის და გარკვეულ როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საერთო პროცესში. ამასთან, იგი მიჩნეულია როგორც მოსახლეობის ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების ცხოვრების დონის უზრუნველყოფისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთ ბერკეტად.

თანამედროვე გლობალური პანდემიის პირობებში, არაფორმალურ დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევის აქტუალობა საქართველოსათვის განპირობებულია მისი მაშტაბურობითა და როლით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში. კერძოდ, ბოლო წლებში ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებმა (Abesadze, 2020; Bedianashvili, 2018; Bedianashvili & Maglakelidze, 2021; Gaganidze, 2018; Gelashvili et al., 2012; Gvelesiani, 2010, 2021) საქართველოში განაპირობა მთელი რიგი ახალი მოვლენების განვითარება მოსახლეობის დასაქმების სფეროში. მათ შეიძლება მივაკუთნოთ: შრომის ბაზრის სეგმენტაცია საკუთრების ფორმებისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით, დასაქმების მასშტაბების ზრდა მცირე ბიზნესის სფეროში, სამუშაო ძალის ინტენსიური გადადინება ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში. შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზარზე ჩამოყალიბდა კრიზისული სიტუაცია, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ დაქირავებულ მომუშავეთა სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებასა და მათი შრომის ანაზღაურების შემცირებასთან, არამედ ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში სამუშაო ადგილებზე მოთხოვნის გადიდებასთან. ამასთან, არაფორმალური დასაქმების ზრდა ხდება შრომის ბაზრის ფუნქციონირების კანონზომიერი შედეგი, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებს მისი ძირითადი ფუნქციების რეალიზაციაში.

არაფორმალური დასაქმების არცთუ მცირე მასშტაბების მიუხედავად, ვთვლით, რომ შრომის ბაზრის ეს სეგმენტი სიღრმისეულად შესწავლილი არ არის. შესაბამისად მცირეა სამეცნიერო ნაშრომებიც, რომლებიც ეძღვნება არაფორმალური დასაქმების ფორმირების კანონზომიერებებსა და შრომის ბაზართან მის ურთიერთკავშირს. ასევე აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების პირობებში ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს კვლევები არაფორმალური დასაქმების შეფასებისა და აღრიცხვის მეთოდებთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია კვლევების განხორციელება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ არაფორმალური დასაქმების

დონე და მასშტაბები, მისი რეგულირების მიმართულებები და გავლენა შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე. თანამედროვე გლობალიზაციისა და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარების პირობებში, ჩნდება არაფორმალური დასაქმების ფორმირების კანონზომიერებების და თავისებურებების კვლევის ობიექტური აუცილებლობა სამეურნეო სუბიექტების დონეზეც. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული არაფორმალური დასაქმების აღრიცხვისა და მასშტაბების ობიექტური შეფასების საფუძველს შექმნის. არაფორმალური დასაქმების სიღრმისეული კვლევის აქტუალობას აძლიერებს ისიც, რომ მისი დონე ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საკმაოდ მაღალია – საშუალოდ ქვეყანაში 35.0% 2020 წელს (http://www.geostat.ge/). ემპირიული კვლევების მონაცემები ადასტურებს, რომ ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა დინამიკა მზარდი ტემპით ხასიათდება, რომელიც თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია დასაქმების ფორმალურ სექტორთან. საქართველოს ეკონომიკაში არაფორმალური დასაქმების დონე და გამოვლენის მრავალმხრივი ფორმები, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გადადინების მასშტაბები ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი სიღრმისეული კვლევის აუცილებლობას.

არაფორმალური დასაქმების კვლევისას ნეგატიურ მხარეებთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილდეს მის დადებით ასპექტებზეც, ყოველ შემთხვევაში, მოკლევადიან პერიოდში. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ იგი რეალურად ამცირებს უმუშევრობის არსებულ დონეს და ხელს უწყობს მოსახლეობის ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების დასაქმებას ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში საკუთარი შემოსავლის გაზრდის ან საარსებო საშუალებების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, მცირდება დაძაბულობის ხარისხი შრომის ბაზარზე, უმუშევრობით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგები, უმუშევრების სოციალური დაზღვევის, მათი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დაფინანსების ხარჯები. ხდება ცალკეული კატეგორიის მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიციური უნარ-ჩვევების შენარჩუნება, ცალკეულ შემთხვევებში განვითარება, პროფესიული გამოცდილების ზრდა, შრომითი საქმიანობის აქტივიზაცია და მისი მწარმოებლურობის ამაღლება. შედეგად, გარკვეულწილად უმჯობესდება მოსახლეობის შრომითი ცხოვრების ხარისხი და ცხოვრების დონე, მცირდება სიღარიბის დონე და მასშტაბები.

არაფორმალური დასაქმების თავისებურებები და მისი გამოვლინების ფორმები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში

1990-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოში რთული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების განვითარებამ (ათასობით სამუშაო ადგილების გაუქმება, დასაქმების პირობების გაუარესება, შრომის ანაზღაურების ორგანიზაციისა და სტიმულირების დაბალი დონე, უმუშევრობის ზრდა, ცხოვრების დონის დაცემა და ა.შ.), ბიძგი მისცა სხვადასხვა ნეგატიური ტენდენციის ფორმირებას, რომელთა შორის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა-ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში მოსახლეობის დასაქმების ზრდა. „საქართველოს, ისევე, როგორც სხვა მსგავსი განვითარების ქვეყნების, შრომის ბაზრის ერთ-ერთი თავისებურებაა არაფორმალური დასაქმების (თვითდასაქმებულების გარკვეული ნაწილის და ე.წ. არაფორმალურ სექტორში დასაქმების) მაღალი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში. თვითდასაქმებულთა უმრავლესობა ეწევა არაფორმალურ, დაურეგისტრირებელ საქმიანობას ...საქართველოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 38.0%-ია დაქირავებით მომუშავე, დანარჩენი კი თვითდასაქმებული და არაფორმალურად დასაქმებულია“ (Resolution N199, 2013). არაფორმალურმა დასაქმებამ საქართველოში საკმაოდ დიდი მასშტაბები განსაკუთრებით ბოლო წლებში მიიღო, რისი ძირითადი მიზეზებიც ქრონიკული უმუშევრობა, განვითარებული ქვეყნების ბაზრებთან შედარებით დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა და შრომის ანაზღაურების დაბალი დონეა. „მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, რა თქმა უნდა, მოსახლეობა ცდილობს, მოძებნოს უკეთესი პირობები, სადაც შეძლებს დასაქმებას“ (Papava, 2020). შესაბამისად, ქვეყანაში დამკვიდრდა არაფორმალური საქმიანობის სხვადასხვა სახეობები, რომელმაც პრაქტიკულად მოიცვა ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი სფეროები: მშენებლობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მომსახურების სფერო, ტრანსპორტი, განათლება, ჯანდაცვა, საფინანსო საქმიანობა და სხვა. მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასებებით, საქართველოში დასაქმებულთა მინიმუმ 32.0%-ია ჩართული რაიმე სახეობის არაფორმალურ საქმიანობაში.

ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმება არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების აქტუალური პრობლემაცაა. „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მონაცემებით, მსოფლიოში დასაქმებულთა 61.2% დაკავშირებულია ეკონომიკის არაფორმალურ სექტორთან“ (ILO, 2018). სამწუხაროდ, ოფიციალური სტატისტიკა იგნორირებას უკეთებდა და საჭიროდ არ თვლიდა არაფორმალურ დასაქმებასთან დაკავშირებული მონაცემების მოპოვებას. იგი დროებით მოვლენად განიხილებოდა და ითვლებოდა, რომ ეკონომიკური განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაბამისად აღმოიფხვრებოდა – მოხდებოდა მისი სრული ლეგალიზაცია. თუმცა, უკანასკნელ ათწლეულებში ეკონომიკური განვითარების არასათანადო ტემპებმა, სტრუქტურულმა გარდაქმნებმა, ურბანიზაციის მაღალმა დონემ, მოსახლეობის მატებამ, ფინანსურმა კრიზისმა, სიღარიბის მასშტაბებმა და სხვა მოვლენებმა ბევრ ქვეყანაში არაფორმალური დასაქმების მოულოდნელი და უპრეცედენტო გაფართოება გამოიწვია. აუცილებელი გახდა ამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენის შესწავლა, შეფასება, აღიცხვა, გამომწვევი

მიზეზებისა და მოქმედი ფაქტორების გამოვლენა. საერთაშორისო დონეზე, ამ მხრივ, საყურადღებოა სტატისტიკოსთა საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც შეეხება არაფორმალური სექტორის სტატისტიკური განსაზღვრის კრიტერიუმებს და რეკომენდაციებს იძლევა მისი გამოკვლევის შესახებ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მიერ არაფორმალური სექტორი განისაზღვრა როგორც წვრილი სამეურნეო, სამეწარმეო ერთეულების მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი საქმიანობა საქონლის, მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის მიზნით, სადაც ძირითადად გამოიყენება ოჯახის წევრებისა და მათ მიერ დაქირავებულ მომუშავეთა შრომა (KILM 8..., 2020). ანუ აღნიშნულ სექტორში ძირითადად ჩართულია დამოუკიდებელი, თვითდასაქმებული მწარმოებლები. ზოგიერთი მათგანი ოჯახის წევრების, დაქირავებულების და მოწაფეების შრომასაც იყენებს. ამასთან, აუცილებელია არაფორმალური სექტორი გაიმიჯნოს კრიმინალური და ჩრდილოვანი ეკონომიკისაგან. იგი არ მოიცავს იმ დასაქმებულებს, რომლებიც ეწევიან აკრძალურ საქმიანობას (ნარკოტიკების წარმოება და რეალიზაცია და სხვა). ამიტომ არაფორმალურ სექტორს მიაკუთვნებენ იმ პირთა მიერ დამოუკიდებლად ან წვრილი სამეურნეო ერთეულის ფარგლებში განხორციელებული არარეგისტრირებულ საქმიანობას, რომლებიც არ იხდიან გადასახადს. საქმიანობა შეიძლება წარიმართოს საკუთარი სახსრების ხარჯზე ან ფორმალური სექტორის შრომის საშუალებების გამოყენებით. დაქირავებული მომუშავეების დასაქმება ითვლება არაფორმალურად იმ შემთხვევაში, თუ მათი შრომითი ურთიერთობები პრაქტიკულად არ რეგულირდება ეროვნული შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, შემოსავლები არ იბეგრება, დასაქმებულებზე არ ვრცელდება სოციალური დაცვის სისტემა და სოციალური გარანტიები.

გვინდა შევნიშნოთ, რომ არაფორმალური დასაქმება უმთავრესად ხორციელდება ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში, მაგრამ ასეთივე საქმიანობა შეიძლება მოხერხდეს ფორმალურ სექტორშიც, ფორმალური სექტორის წარმოების საშუალებების გამოყენებით. კერძოდ, არაფორმალურად დასაქმებულებს უნდა მივაკუთვნოთ:

- არაფორმალური სექტორის საკუთარ საწარმოებში საკუთარი სახსრებით მომუშავე პირები;
- არაფორმალური სექტორის საწარმოებში დაქირავებული პირები;
- მომუშავეები–ოჯახის წევრები, მიუხედავად იმისა, დასაქმებულები არიან ისინი რეალური ეკონომიკის, თუ არაფორმალური სექტორის საწარმოებში;
- არაფორმალური საწარმოო კოოპერატივების წევრები;
- დაქირავებული მომუშავეები, რომლებსაც უკავიათ არაფორმალური სამუშაო ადგილები რეალური ეკონომიკის საწარმოებში;
- საკუთარი სახსრებით მომუშავე პირები, დაკავებულნი იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებით, რომლებიც გათვალისწინებულია მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის სტატისტიკოსთა მე–17 საერთაშორისო კონფერენციის რეკომენდაციების შესაბამისად, არაფორმალური დასაქმება განმარტებულია როგორც „ფორმალური სექტორის საწარმოებში არაფორმალური სექტორის საწარმოებსა და შინამეურნეობებში არაფორმალური სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობა, მათ შორის ის არაფორმალური სამუშაო ადგილები, რომლებიც უკავიათ დამსაქმებლებს, დაქირავებულ მომუშავეებს და თვითდასაქმებულებს საკუთარი საწარმოს არაფორმალურ სექტორში, არაფორმალური საწარმოო კოოპერატივების წევრებს, ოჯახის დამხმარე წევრებს, ფორმალურ ან არაფორ–

ცხრილი 1. ფორმალური და არაფორმალური დასაქმების მახასიათებლები და მათი თავისებურებები

ძირითადი მახასიათებლები	ფორმალური შრომითი ურთიერთობები	არაფორმალური შრომითი ურთიერთობები
სამართლებრივი საფუძვლები	ურთიერთობები შრომის კანონმდებლობის შესაბამისად	ზეპირსიტყვიერი გარიგება, შეთანხმება
დასაქმების მიზანი	ხელფასის, შემოსავლის მიღება	ძირითადად საარსებო საშუალებებზე ორიენტაცია
შრომის პირობები	შრომითი კონტრაქტით განსაზღვრული კონკრეტული პირობები	შრომის პირობების განუსაზღვრელობის მაღალი რისკი
შრომის დაცვა	კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვის აუცილებლობა	შრომის დაუცველობის მაღალი რისკი
შრომის ანაზღაურება	კონტრაქტით განსაზღვრუ-ლი ანაზღაურება	ანაზღაურება სიტყვიერი შეთანხმებით/ გარიგებით
მომუშავის ინტერესების დაცვა	შესაბამისი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დაცვა	უფლებების დაცვის დამოკიდებულება დამსაქმებლის პიროვნულ თვისებებზე
შრომითი ვალდებულებების შესრულება	უზრუნველყოფილია სანქციებით განთავისუფლებამდე	უზრუნველყოფილია ხელფასის გაუცემლობით

ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ.

მალურ საწარმოში მომუშავე პირებს და თვითდასაქმებულებს, რომლებიც აწარმოებენ საქონელს საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის თავიანთი შინამეურნეობების ბაზაზე" (KILM 8..., 2020).

დასაქმების ხასიათის, თავისებურებების, მასშტაბების და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, არაფორმალური დასაქმების კლასიფიკაცია შეიძლება განვახორციელოთ შემდეგი ძირითადი ნიშნების მიხედვითაც: დასაქმების ხასიათისა და საქმიანობის სახეობების მიხედვით (კვალიფიციური და არაკვალიფიციური სამუშაოები); დასაქმების სტატუსის მიხედვით; არაფორმალური საქმიანობის განხორციელებისა და შემოსავლების მიღების მეთოდების მიხედვით (Tsartsidze, 2004).

არაფორმალური დასაქმების არსისა და თავისებურებების დეტალური ანალიზისათვის მიზანშეწონილია, ერთმანეთს შევადაროთ ფორმალური და არაფორმალური დასაქმების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. მათ შორის პრინციპული განსხვავებაა არა მარტო სამართლებრივი საფუძვლების, არამედ დასაქმების ძირითადი მიზნების მიხედვით (იხ. ცხრილი 1).

მსოფლიოს ხუთი ძირითადი რეგიონიდან, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა წილით (85.8%) ლიდერობს აფრიკა. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსა და არაბულ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის თანაბარია და შესაბამისად 68.2% და 68.6%-ს შეადგენს. სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში 40.0%-ს. ევროპასა და ცენტრალურ აზიაში კი საშუალოდ 25.1%-ია (იხ. ცხრილი 2).

მსოფლიო მასშტაბით არაფორმალური დასაქმების 93.0% მოდის განვითარებად და ისეთ ქვეყნებზე, რომლებიც საბაზრო ეკონომიკს ფორმირების სტადიაში იმყოფებიან. არაფორმალური დასაქმება უფრო გავრცელებულია მამაკაცებში (63.0%), ვიდრე ქალებში (58.1%). სულ მსოფლიოში არაფორმალურ სექტორში მომუშავე პირებიდან (2.0 მილიარდი, დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 61.2%) ქალთა რიცხოვნობა დაახლოებით 740.0 მილონია, რაც საერთო რაოდენობის 37.0%-ს შეადგენს (ILO, 2018). ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს არაფორმალურ დასაქმების დონესა და მასტაბებზე, განათლების დონეა. კერძოდ, რაც მაღალია განათლების ხარისხი, მით დაბალია არაფორმალური დასაქმების დონე. მისი მასშტაბები ორჯერ მაღალია სასოფლო ტიპის დასახლებებში, ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში. რაც შეეხება თვით სოფლის მეურნეობას, იგი არაფორმალური დასაქმების მაღალი წილით გამოირჩევა (90.0%-ზე მეტი) (ILO, 2018). განვითარებად ქვეყნებში არაფორმალური სექტორის წვლილი მნიშვნელოვანია მთლიანი სამამულო პროდუქტის წარმოებაში, იგი 5%-დან 35%-მდე მერყეობს, აქ თავმოყრილია ქალაქად დასაქმებულთა 1/3-დან 1/2-მდე (იხ. ცხრილი-3).

ცხადია, რომ კრიზისულმა მოვლენებმა განაპირობა არაფორმალური დასაქმების ზრდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. მაგალითად, უკრაინის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულია 4.5 მილიონი ადამიანი (დასაქმებული მოსახლეობის 20.0%), ცალკეული კვლევის შედეგებით აღნიშნული მაჩვენებელი 40.0%-ია, ხოლო უკრაინის ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით - 16.0%-20.0%-ს შეადგენს (Informal, 2020).

ცხრილი 2. არაფორმალური დასაქმების დონე მთლიანად დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობასთან მიმართებაში მსოფლიოს ძირითადი რეგიონების მიხედვით

N	მსოფლიოს რეგიონის დასახელება	არაფორმალური დასაქმება (%)
1	აფრიკა	85.8%
2	აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი	68.2%
3	არაბული ქვეყნები	68.6%
4	სამხრეთი და ჩრდილოეთ ამერიკა	40.0%
5	ევროპა და ცენტრალური აზია	25.1%
	საშუალოდ მსოფლიოში	61.2%

ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ. წყარო: Women and men in the informal economy (2018): A statistical picture. Third edition. Report. International Labour Office, Geneva. Copyright ©International Labour Organization. First published 2018 Web PDF: 9789221315810[ISBN]. https://www.ilo.org/global/publications/ books/WCMS_626831/lang--en/index.htm.

დიდია არაფორმალური დასაქმების მასშტაბები რუსეთის ფედერაციაშიც. საერთაშორისო აუდიტორულ-კონსალტინგური ქსელის (FinExpertiza) ანალიტიკური სამსახურის მონაცემებით, რუსეთის შრომის ბაზარზე არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის ივნისის მდგომარეობით 13.57 მლნ. კაცი იყო, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 19.4%-ს შეადგენს.

როგორც ანალიზის შედეგად დგინდება, მარტის თვემდე, კორონავირუსის გავრცელების დაწყებამდე და, შესაბამისად, მკაცრი სოციალურ-ეკონომიკური შეზღუდვების შემოღებამდე, ქვეყანაში არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 925.0 ათასი კაცით მეტი იყო, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 20.3%-ს შეადგენდა (Research..., 2020).

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში არაფორმალური დასაქმების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია

სქემა 1.



2017 წლიდან ფიქსირდება. 2018 და 2020 წელს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები სამუშაო ძალის აღრიცხვის მეთოდოლოგიის სრულყოფასა და ამ სფეროში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვის მიმართულებით. შესაბამისად, დასაქმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ქვეყნდება ახალი დამატებითი ინფორმაცია: ნამუშევარი საათების შესახებ, სამუშაოზე დაკავებული პოზიციების მიხედვით დასაქმებულთა შესახებ, არაფორმალური დასაქმების შესახებ (იხ. ცხრილი 4).

აღნიშნული მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაშია დასაქმების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორთან (Tsartsidze, 2019). როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, არასასოფლო-სამეურნეო სფეროში არაფორმალურად დასაქმებულთა წილი 2018 წელს ქვეყნის მასშტაბით 36.2%-ს შეადგენდა, რაც 2.3%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. აღნიშნული პერიოდისათვის იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მიხედვით. კერძოდ, თუ ქალაქის დასახლებებში არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა წილი 33.2%-დან 34.6%-მდე, ანუ 1.4%-ით გაიზარდა, სოფლის მიხედვით აღიშნული მაჩვენებლის ზრდამ კიდევ უფრო მეტი – 4.2% შეადგინა. 2019 წელს განსხვავებული სურათია. კერძოდ, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა წილი წინა წელთან შედარებით 1.5%-ით შემცირდა,

ცხრილი-3. არაფორმალური დასაქმება და მისი წილი მთლინ სამამულო პროდუქტში მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	წილი GDP-ში (%)	ქვეყანა	წილი GDP-ში (%)
აზერბაიჯანი	59,3	ავსტრალია	14,0
ბელორუსი	19,1	ავსტრია	9,0
ესტონეთი	18,5	ბელგია	22,5
ყაზახეთი	34,2	დანია	18,3
ლატვია	34,8	ფინეთი	18,9
ლიეტუვა	25,2	საფრანგეთი	14,9
მოლდოვა	37,7	გერმანია	14,9
რუსეთი	41,0	დიდი ბრიტანეთი	14,0
უკრაინა	47,3	საბერძნეთი	29,0
ბულგარეთი	32,7	იტალია	27,3
უნგრეთი	28,4	იაპონია	11,1
პოლონეთი	13,9	შვეცია	19,9
რუმინეთი	18,3	შვეიცარია	8,1
სლოვაკეთი	10,2	აშშ	8,9

წყარო: ILO. www.ilo.org/wcmsp5/.

ცხრილი 4. არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში საქართველოში 2017-2019 წლებში

დასახელება	არაფორმალური დასაქმება (პროცენტებში)		
	2017	2018	2019
ქალი	29.2%	29.8%	29.2%
მამაკაცი	37.9%	41.5%	39.3%
ქალაქი	33.2%	34.6%	33.8%
სოფელი	35.8%	40.0%	36.8%
სულ	33.9%	36.2%	34.7%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მათ შორის ქალაქში 0.8%-ით, ხოლო სოფელში 3.2%-ით. არაფორმალური სექტორში დასაქმებული მამაკაცების წილი (39,3%, 2019 წელს), 10.1%-ით აღემატება ქალების წილს (29.2%). აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის არაფორმალური სექტორი უფრო მიმზიდველია (ან უფრო მეტად ახერხებენ სამუშაოს მოძიებას) მამაკაცებისათვის და ბოლო პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტენდენციით ხასიათდება. დასკვნის სახით კი უნდა ითქვას, რომ არაფორმალურმა დასაქმებამ საქართველოში საკმაოდ დიდი მასშტაბები შეიძინა. მეტიც, **ფაქტობრივად არაფორმალური სექტორი გახდა შრომის ბაზრის დამოუკიდებელი სეგმენტი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დასაქმების ხასიათზე, მის მასშტაბებზე, შრომითი ცხოვრების ხარისხზე, ცხოვრების დონესა და მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.**

არაფორმალური დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში

არაფორმალურ დასაქმებას, როგორც მზარდ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, საერთაშორისო დონეზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა 1990-იანი წლებიდან. ცნობილი მიზეზების გამო, ხსენებული პერიოდი საქართველოსათვის განსაკუთრებით რთული იყო და ამ არასასურველმა მოვლენამაც მყისიერად იჩინა თავი. ცხადია, არაფორმალურმა დასაქმებამ ქართველი მკვლევარების ყურადღებაც მიიქცია. მაგალითად, არაფორმალური დასაქმების ზრდის მთავარ მიზეზად პროფესორი დ. ძნელაძე მიიჩნევდა სამუშაო ადგილების უკმარისობას და აღნიშნავდა, რომ „ახალი სამუშაო ადგილების უმეტესობა განვითარებად ქვეყნებში იქმნება არაფორმალურ სექტორში. ამ პროცესს ხელი შეუწყო ფორმალურ სექტორში ახალი სამუშაო ადგილების მატების დაბალმა დონემ“ (Dzneladze, 2000). არაფორმალური დასაქმების მიზეზების, მოტივის და მასზე მოქმედი ფაქტორების კვლევისას დოქტორი ნ. ლაცაბიძე აკეთებს ძალზე საინტერესო დასკვნას, რომ „ცალკეულ ქვეყანაში განსხვავებულია ეკონომიკის არაფორმალური სექტორი და არაფორმალურ საქმიანობაში მონაწილეობის მოტივი. დასაქმებულთა ნაწილისათვის აღნიშნული საქმიანობა საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებაა, ნაწილისათვის-დამოუკიდებლობის გამოვლენისა და მოქნილი შრომის რეჟიმით მუშაობის შესაძლებლობა, ცალკეულ შემთხვევაში სოლიდური შემოსავლების იოლი გზით მიღების საშუალება (Latsabidze, 1999). მართლაც, საქართველოში ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმების ზრდას მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი დონე და მასშტაბები. „1990-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსის

სქემა 2.

არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში საქართველოში 2017-2019 წლებში (პროცენტებში)



შედეგად საქართველოში მკვეთრად შემცირდა სამუშაო ადგილების რაოდენობა და უმუშევრობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ბოლო 10 წელიწადში ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მკვეთრი ზრდის მიუხედავად, ოფიციალური მონაცემებითაც, უმუშევრობა ქვეყანაში პერმანენტულად იზრდებოდა" (Resolution N199, 2013). მან განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიმდინარე პერიოდში მიიღო და საგრძნობ გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონის ყველა პარამეტრზე, მაღალია უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და მასშტაბები, შესაბამისად დაბალია ცხოვრების დონე.

საქართველოს შრომის ბაზარზე ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმების მასშტაბების ზრდა განაპირობა რიგმა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმაც, რომელთაგან უნდა აღინიშნოს:

- დასაქმების სფეროში არ არის უზრუნველყოფილი სოციალური სამართლია-ნობის პრინციპის დაცვა, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები, შრომითი უფლებების თანაბარი რეალიზაცია და სხვა;
- დაბალია მოსახლეობის ხელმისაწვდომობა შრომის ბაზრის სხვადასხვა სახის სერვისსა და ღონისძიებაზე;
- ეკონომიკური განვითარების არასათანადო ტემპების გამო მცირდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, შესაბამისად შეზღუდულია დასაქმების შესაძლებლობები და მისი პერსპექტივები;
- ჯერ კიდევ დაბალია პროფესიული განათლების სისტემის განვითარების დონე და ხარისხი, იგი სრულად არ არის ორიენტირებული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. არ არსებობს უმაღლესი და პროფესიული განათლების კადრების მომზადება-გადამზადების ადეკვატური სისტემა;
- პრაქტიკულად არ არსებობს უმუშევართა სოციალური დაცვის და დაზღვევის მექანიზმი, ვერ ხორციელდება მათი გადამზადება მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე;
- მნიშვნელოვანი პრობლემებია შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სფეროში, სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს შრომის ორგანიზაციის, სტიმულირებისა და მოტივაციის დაბალი დონე;
- განუვითარებელია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა და მისი მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა;
- მნიშვნელოვანი პრობლემებია სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მართვისა და რეგულირების სფეროში, რომელიც უკავშირდება საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის განვითარებასაც, არსებული შრომითი კანონმდებლობა ჯერ კიდევ სრულად არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან;
- არ არის შემუშავებული დასაქმებულთა შრომის პირობების კონტროლის სრულყოფილი მექანიზმი და სხვა.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებული მასალები და მოსაზრებები, გარკვეული დასკვნების გაკეთებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების საშუალებას გვაძლევს:

1. საქართველოში ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმება შეიძლება განვიხილოთ როგორც შრომის ბაზრის დამოუკიდებელი სეგმენტი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების ხასიათზე, მის მასშტაბებზე, შრომითი ცხოვრების ხარისხზე, ცხოვრების დონესა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

2. არაფორმალური დასაქმების უარყოფითი შედეგები გავლენას ახდენს როგორც უშუალოდ დასაქმებულებზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკაზე რადგან:

- არაფორმალური საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო კონტროლისა და რეგულირების გარეშე;
- დასაქმებულებზე არ ვრცელდება ტრენინგების, მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, რომლის მიზანია მომუშავეთა პროფესიული ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება, რის გამოც ადამიანური კაპიტალის განვითარების დონე და ხარისხი რჩება დაბალი;
- დასაქმებულებზე არ ვრცელდება სოციალური დაცვის გარანტიები;
- არ არსებობს დასაქმებულთა შრომის პირობების კონტროლის მექანიზმი;
- შრომის ანაზღაურების სიდიდე უმთავრესად განისაზღვრება ზეპირსიტყვიერი შეთანხმებით და არ არსებობს მისი გაცემის გარანტიები;
- დაბალკვალიფიციურ სამუშაობზე დასაქმება ხშირად იწვევს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის დაქვეითებას;
- დასაქმების არასტაბილური და არალეგარული ხასიათი აუარესებს სამუშაო ძალის ხარისხს;
- დამსაქმებლების მიერ დაბალკვალიფიციური შრომის გამოყენება იწვევს წარმოების მოდერნიზაციისა და განახლების ხარჯების შემცირებას, შესაბამისად, ხელს უშლის კაპიტალის ბაზარზე შეღწევას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვას, პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხის ამაღლებას;
- პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის არარსებობის გამო, საბოლოო ჯამში, ზარალდებიან მომხმარებლები;
- დამსაქმებლების მიერ დასაბეგრი შემოსავლების დაფარვისა და შესაბამისი გადასახადების გადაუხდელობის გამო მნიშვნელოვნად მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები.

3. არაფორმალური დასაქმება მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის თითქმის ყველა ძირითად სფეროს: ვაჭრობა და მომსახურების სფეროს წამყვანი დარგები, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ცალკეული სახეობის სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურება.

4. არაფორმალური დასაქმება უმთავრესად გამოხატულია თვითდასაქმებით, დაქირავებული შრომა ძირითადად გამოიყენება სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს სხვადასხვა დარგებში.

5. დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის აღნიშნული საქმიანობა საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებაა. არაფორმალური დასაქმება დამოუკიდებლობის გამოვლენის, მოქნილი შრომის რეჟიმით მუშაობის შესაძლებლობის ან სოლიდური შემოსავლების უფრო იოლი გზით მიღების საშუალებას მხოლოდ დასაქმებულთა მცირე ნაწილისათვის წარმოადგენს.

6. არაფორმალური დასაქმება უმთავრესად არაკვალიფიციურ შრომას უკავშირდება. ხშირ შემთხვევაში მომუშავენი ძირითადად არაპრესტიჟულ, არამიმზიდველ სამუშაოებს ასრულებენ და პროფესიული ზრდის პერსპექტივა არ აქვთ.

7. დამსაქმებელთათვის სამუშაო ძალის არაფორმალურად (შრომითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე) დასაქმების ძირითადი მოტივებია:

- დანახარჯების შემცირებისა და იმავდროულად წარმოების მოცულობის ზრდის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფილია ერთი მხრივ, დაბალი ხელფასის გაცემითა და მეორე მხრივ, საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობით;
- სამუშაო ძალის დასაქმება დამსაქმებლისათვის (და არა დასაქმებულისათვის) მისაღები სამუშაო გრაფიკით;
- არაპრესტიჟული სამუშაო ადგილების მარტივად შევსების შესაძლებლობა.

8. არაფორმალურ დასაქმების სოციალურ–ეკონომიკური შედეგები მხოლოდ ნეგატიურად არ უნდა შეფასდეს. იგი გარკვეულწილად დადებით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის შემოსავლებისა და დასაქმების პრობლემების დროებით გადაწყვეტაზე, ამცირებს უმუშევრობის ფაქტობრივ დონეს, დაძაბულობის ხარისხს შრომის ბაზარზე, მოსახლეობის დაბალკონკურენტუნარიან ნაწილს საშუალებას აძლევს, მიიღონ გარკვეული შრომითი გამოცდილება და აქტიურად ჩაებან შრომით საქმიანობაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაფორმალური დასაქმების შედეგად ქვეყანაში იქმნება მთლიანი სამამულო პროდუქტის გარკვეული ნაწილი და მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისათვის არსებობისა და თავის გადარჩენის საშუალებას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Abesadze, R. (2020). Globalization and the Economic Problems of the Pandemic. *Ekonomisti,* (2). ek_4_2020_bolo.pdf.

Bedianashvili, G. (2018). Culture as a factor in the formation of the knowledge economy in the systemic institutional context of paradigm. *Globalization and Business,* 6, 58-66. https://doi.org/10.35945/gb.2018.06.007.

Bedianashvili, G., & Maglakelidze, A. (2021). The Digital Economy and Business in the Conditions of Pandemic. The materials of the International Scientific Conference: *Social Sciences for Regional Development 2020*. Part III. Issues of Economics, 26-37.

Dzneladze, D. (2000). Employment, Labour and Social Protection of the Population. Tbilisi.

Fedorova, E.P. (2014). Informal employment in Russia: trend and causes №1, *Economics and ecological management.* http://economics.open-mechanics.com/articles/1050.pdf;

Gaganidze, G. (2018). Expert Aspects of Country Competitiveness Assessment. *Globalization and Business*. 6, 36-42. https://doi.org/10.35945/gb.2018.06.003;

Gelashvili, S., Muchiashvili, M., & Maisuradze, I. (2012). *Macroeconomic statistic,* Tbilisi. makroekonomikuri statistik.pdf;

Gvelesiani, R. (2010). Labour market and employment policy contradictions and success strategies, *Economic and Business*, 4(3).

Gvelesiani, R. (2021). Problems of the Optimal Use of Economic Policy Instruments. *Ecoforum,* 10(2). http://www.ecoforum-journal.ro/index.php/eco/article/view/ 1250/756;

ILO (05 May 2020). COVID-19 crisis and the informal economy: Immediate responses and policy challenges. https://www.ilo.org/;

ILO (2018). Women and Men in the Informal Economy: A Statistical Picture Third Edition https://www.ilo.org/global/publications/books/WCMS_626831/lang--en/index.htm;

ILO (2020). KILM 8. Employment in the informal economy. ilo.org;

ILO Standards and Covid-19 (coronavirus), (2020). FAQ: Key provisions of international labour standards relevant to the evolving COVID-19 outbreak, Department of Norms of the Office (NORMES);

Informal employment in Ukraine: dimension, scale, dynamics. (2020). www.myshared.ru/slide/539512;

International Labour Organization, (2018). https://www.ilo.org/moscow/news/WCMS_6277 98/lang-ru/index.htm;

Kharaishvili, E., & Natsvlishvili, I. (2019). Impact of International Educational Migration in the Context of Globalization of Higher Education (Case of Georgia). http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/299;

Labor in the world (1996): (ILO). Geneva, Moscow. 8.

Latsabidze, N. (1999). Socio-Economic aspects of informal employment. *Social Economic*.

Law of Georgia. (2020, 14 July). On employment promotion, Tbilisi, 6819.

Mekvabishvili, E. (2019). The Economic Role of the State in the Context of Globalization. *Globalization and Business,* 8, 22-33. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.002;

Papava, V. (2015). Economic of Georgia. Reforms and pseudo-reforms. *Publisher, Intelekti,* Tbilisi.

Papava, V. (2020, March 21). Coronomic and Economics in the Face of Crisis. https://for.ge/view/ 182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html;

Papava, V. (2019, May 3). If there is Economic Growth, Where is the Population Fleeing from?! (In Georgian). http://bfm.ge/lado-papava-tu-ekonomikuri-zrdaa-sad-garbis-mosakhleoba/

Papava, V., & Charaia, V. (2020). The Coronomic Crisis and Some Challenges of the Georgian Economy. *Expert opinion.* 136. Georgian Strategy and International Relations Research Foundation.

Research: Informal Employment during the Pandemic Decreased by 925 Thousand People. (2020). banki.ru;

Resolution Government of Georgia. (2016, 4 April). On approval active labour market policy strategy and the action plan for its implementation in 2016-2018, 167.

Resolution Government of Georgia. (2013, 2 august). On approval of the state strategy for the formation of Georgian labour market and action plan 2015-2018 for the implementation of the state strategy for the formation of the Georgian labour market, 199, Tbilisi.

Resolution Government j;l;ljumny7jk yu;ljkk yuk j l;k;ljky7uukk yuuum of Georgia. (2021, 8 January). On the approval of the 2021 state program for the development of employment promotion services Tbilisi, 2.

Resolution Government of Georgia. (2014, 17 June). On approval and some related measures Georgian Socio-Economic development strategy - Georgia 2020*,* Tbilisi, 400.

Resolution Government of Georgia. (2019, 30 December), on approval of the national strategy of labour and employment policy of Georgia for 2019-2023, 662.

Shelia, M. (2014). Employers Demand on Labour Force in Georgia's Big Cities. Interdisciplinary Perspectives on Social Sciences. *Cambridge Scholars Publishing*, UK, 113-118.

Silagadze, A., & Gelashvili, S. (2007). Die entwicklung der finanzpolitik in Georgien. FinanzwissenschaftlicheDiskussionsbeiträge, G-2, 1-8. http://eprints.tsu.ge/1101/.

Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2020). Some Tendencies of Post-Soviet Migration and Unemployment. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 14(1),172-176. http://science.org.ge/bnas/t14-n1/27_Silagadze_Economis.pdf;

Tsartsidze, M. (2019). Unemployment and the Effective Employment Problems in Georgia under the Modern Globalization Terms. Institute of Researches and International. *Journal of International Economic Research*. 4 (1). http://irissymposium.wixsite.com/website;

Tsartsidze, M., & Latsabidze, N. (2020). Structural and Sectoral Features of the Labour Market and Employment in Georgia. Social and Labor Research, 38(1):153-163. https://doi.org/10.34022/2658-3712-2020-38-1-153-163. (cyberleninka.ru);

Tsartsidze, M., (2004). Labor market formation and reproduction of the workforce in Georgia. Doctoral dissertation. TSU, Tbilisi.

Tsartsidze, M., (2019). Effective Employment-The Key Factor in Human Welfare and Economic Growth in Georgia. *Ekonomisti,* 2. http://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge.

Tukhashvili, M. (2012). Georgian Labour Market in the Condition of Political and Economic Crisis. *Youth Employment: Challenges and Opportunities*. Timisoara.Eurostampa, 294-300.

Tukhashvili, M., Ananiashvili, I., Tsartsidze, M., Latsabidze, N., Shelia, M., & Chelidze, N. (2012). Labour Market and Reintegration of Returned Migrants in Georgia. The publication is prepared by Danish refugee council project - Reintegration Activities in Georgia. *Publisher Universal*, Tbilisi.

Tukhashvili., M., & Shelia, M. (2012). The Impact of Labour Emigration on the Demographic and Economic Development of Georgia in the Post-Soviet Period. http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-2012-RR-29.pdf;